# სამშობლო

ხუთშაბათი
19 ნოემბერი.
წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. პირველ მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 227 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 227

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.“

ტელეფონი № 76.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სამშობლო“
— ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით —

გაზეთის ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები. რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გიორგის ნებართვით და ლოცვაკურთხევით,
პარასკევს, 27 და კვირას, 29 ნოემბერს, ქუთაისის ქალაქის თეატრში
გაიმართება პირველად ქუთაისში
დიდი ქართული სასულიერო მხატვრული საგალობელთა
# საღამო-კონცერტი

კ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით.
შესრულებული იქნება: ძველი საეკლესიო საგალობელნი, პეტროგრადში გამართულ სასულიერო კონცერტის საუკეთესო ნომრები და სხვადასხვა რჩეული სამუსიკო ნაწარმოები.
საკონცერტო გუნდი შესდგება 200 ქალვაჟისაგან.
ბილეთები ამთავითვე იყიდება კ. ოცხელისა და მთავრიშვილის მაღაზიაში. 3—3
ცალკე აფიშები არ იქნება გაკრული.

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნუმერს ახლავს ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის განცხადება საჯაროთ გაყიდვის შესახებ იმ მამულებისა, რომელთა პატრონებმაც ხვედრი ვერ შეიტანეს. განცხადებიანათ ჩვენი გაზეთი შეიცავს 18 გვერდს.

პარასკევს, 20 ნოემბერს, საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის
თავად ვარლამ მიხაილის ძის ერისთვის
სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის ქვრივი კნეინა ციცინო ნიკოლოზის ასული ერისთვისა, ძმა თავადი ანდრია მიხაილის ძე ერისთავი და შვილები: ოლია ვარლამის ასული ერისთვისა და მიხეილ ვარლამის ძე ერისთავი.
წირვის დასაწყისი 10 საათზე. პანაშვიდის—11½ საათზე.

„სორაპანის“ გამოცემა.
დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად ქართული
კედლის კალენდარი 1916 წ.
შედგენილი გრ. ჩარკვიანისა და მ. გაჩეჩილაძის მიერ.
ჯიბის—სახალხო კალენდარი 1916 წლისა
შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.
ვისაც სურს „პარტიით“ იყიდოს, მან უნდა მიმართოს შემდეგი ადრესით: ტფილისი, სტამბა „სორაპანი“, მ გაჩეჩილაძეს. 5—4

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

საეშალო სასწავლებლის უნცროს კლასებისთვის, უმაღლეს დასაწყისს 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის ვამზადებ მოწაფეებს, ეგზამენის დაჭერა უზრუნველყოფილია.
მისამართი: ივანოვის ქუჩა, პარიკმახერის ნიკიფორე ქათამაძის სახლი № 32.
პირობების შეტყობა შეიძლება საღამოს 4—6 ს.

კბილის ექიმი
მ. მგილაძე—ზალივკისა
დღეულობს ავათმყოფებს დილის 9 ს.—12 საათ., საღამოთი 4—5 საათამდი. მისამართი: თბილისის ქუჩა, ვლ. წერეთლის სახლში. თ.

ექიმი მულინი
ყელის, ცხვირისა და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირეს გარდა.
თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

ექიმი გ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. დოროქიფანიძის სახლი. თვ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი
მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, პირფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ

ექიმი გაბრიელ იოსების ძე გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ.
ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

კბილის ექიმი რ. პ. სვანაძის ასული
მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე.
თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლი.

ბებია მ. მ. კოხრეიძე
უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევადარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი
ორშაბათიდან, 16 ნოემბრიდან ახალი ფართო პროგრამა.
პატე-ჟურნალი. მიმდინარე ამბები.
სენსაცია! ზრიყვი სენსაცია!
რომანი გრაფ იულიასი. დრამა 4 ნაწილად, მსახიობ ქალის პრეობრაჟენსკის მონაწილეობით.

ხუთშაბათიდან, 19 ნოემბრიდან სიყვარული ნილაბის ხვეშ. კინო პიესა 4 ნ. ბალზაკის რომანიდან, ჩერნოვისა და მოზჟუხინის მონაწილეობით.


Фортепiанный техникъ и Спец.
Настройщикъ
М. Я. Ксендзоцкiй Остановился въ гостиницѣ „ФРАНЦIЯ“
Пробудетъ до 22-го ноября, С. г. включительно.
2—2—6016

ქ. ქუთაისში
1 ნოემბრიდან, თბილისის ქ., მ. ქვინიხიძის ქალთა პროგიმნაზიის სადგომში
გაიხსნა როიალზე სწავლების კლასი.
სწავლა სწარმოებს კონსერვატორიის პროგრამით, კვირაში სამჯერ. სწავლის ფასი დაწესებულია კვირეულ სამ გაკვეთილზე თვეში ხუთი მანეთი, რომელიც წინდაწინ უნდა გადახდილ იქნეს. ქალ. თეატრში შემდეგ გაიმართება მოწაფეთა საღამო. ჩაწერა და მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე 8—2 საათ. და 4—6 საათამდი იქვე. თ.

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა
„რუსეთი“ („როსსია“),
სადაც შეიძლება დაზღვევა სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.
პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვევონ თავი. ტელეფონი № 26
წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.
თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.

## უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი. 17 ნოემბერი. დასავლეთის ფრონტი. რიგის რაიონში მდებარე ფრონტის რამდენსამე პუნქტზე ჩვენი არტილერია წარმატებით მოქმედებდა. პინსკის სამხრეთ დასავლეთით მდებარე რაიონში 15 ნოემბერს ღამით მოპირდაპირემ იერიში მოიტანა დ. კომოროზე. გუშინ შუადღისას იერიში შეჩერებული იქნა და არც განახლებულა. 15 ნოემბერს საღამოთი მარცხენა ნაპირზე ჩვენი ჯარის ერთ ერთმა ნაწილმა იერიში მიიტანა მტრის ზანაკზე კოზლინიჩის დასავლეთით. შტიკიანი ბრძოლის შემდეგ ავსტრიელების უდიდესი ნაწილი ამოწყვეტილ იქნა. 3 აფიცერი და 85 ჯარისკაცი ტყვეთ წამოვიყვანეთ. ჩვენი ზარალი საწრაფო მოქმედების გამო უმნიშვნელოა: 14 მოვკლეს, 10 დაიჭრა. რიგის ყურედან რუმინეთის საზღვრამდი მდებარე ფრონტზე გუშინდელმა დღემ წყნარათ გაიარა.

### კავკასიის ფრონტი.

ზღვის პირა რაიონში ოსმალები სხვა და სხვა ადგილას შეეცადნენ წინ წამოწევას, მაგრამ ყველგან იოლათ მოვიგერიეთ. ჭოროხისა და ოლთიჩაის შესართავთან ნასკენის ხეობამდი მდებარე ფრონტზე ხორასანის რაიონში ჩვენი მზვერავები მარჯვეთ მოქმედებენ. კელიკგიდუკის მთის რაიონში, დუტახის ჩრდილო-დასავლეთით, მდ. ეფრატზე ოსმალებმა იერიში მოიტანეს სოფელ მულაბეკის სიმაგრეებით, მაგრამ მოგერიებულ იქნენ. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

## დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

პარიზი. 16 ნოემბერი. საღამოს ოფიციალური ცნობა. ლაბირინტის ჩრდილოეთით მდებარე იერიშით ჩვენ გავსდევნეთ მტერი ვორონკიდან, რომელიც მან დაიკავა სამი დღის წინათ. მტერს დიდი ზარალი მოუვიდა, ჩვენი ზარალი უმნიშვნელოა. დანარჩენ ფრონტზე არსებითი ცვლილება არაა. გუშინ ერთერთი ჩვენი აეროპლანი იძულებული იყო დაშვებულიყო ძირს მტრის პოზიციების წინ. მიუხედავათ მტრის არტილერიის ძლიერი ცე-

...ცხლისა, აპარატი მხოლოდ სუმუქით დაზიანდა. მფრინავები კი უვნებლად გადარჩენ.

აღმოსავლეთის ფრონტზე სიწყნარეა. მონასტირთან მყოფ სერბიის ჯარზე მტერმა იერიში მიიტანა. მონასტირსა და კალკანდელეს შუა მდებარე მიდამოებში ბულგართა საომარ მოქმედებას დიდი თოვლი ხელს უშლის. ინგლისელები იტყობინებიან დიდძალ გამოქცეულ ბულგარელების შესახებ.

**ჰავრი.** 16 ნოემბერი. ბელგიის ცნობა. მტერმა ზარბაზნები დაუშინა ჩვენს პოზიციებს დიკსმიუდესა და მის ჩრდილოეთით მდებარე მიდამოებში. ჩვენი ბატარეია ყუმბარებს უშენდა გერმანელების სანგრებს.

**ცეტინე.** 16 ნოემბერი. პრესბიურო იტყობინება: 15 ნოემბერს მტერმა ხელახლა დაიკავა ფეჩი, მეტოლკა და პრეპოლი. ამ ბრძოლებში ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ 54 კაცი. პაშიჩი და სერბიის დანარჩენი მინისტრები 15 ნოემბერს მოვიდენ სკუტარში, სადაც იქნება სერბიის მთავრობის ბინა.

# ომის ამბები.

(ჟურნალ გაზეთებიდან)

### გორიცის გარშემო.

ავსტრო-უნგრეთის მთავარი ბინა იტყობინება იტალიის ფრონტზე მომხდარ ბრძოლის ამბებს:

იტალიელები განაგრძობენ ბრძოლას გორიცის ხიდებთან გაკეთებულ სიმაგრეების ხელში ჩასაგდებათ. განსაკუთრებით სასტიკი ბრძოლა სწარმოებს ოსლავიის რაიონში, გორიცის ჩრდილო-დასავლეთით. აქ, სანმარტინოს ახლოს, მტერმა ძლიერი საარტილერიო ცეცხლის დაშენის შემდეგ, შესძლო ჩვენს ბანაკში შემოჭრა. კონტრიერიშის მიტანის შემდეგ მხოლოდ სანგრების ნაწილიღა დარჩა მტრის ხელში.

გორიცის ჩრდილოეთით მდებარე სიმაგრეებთან, ზაგორის სამხრეთით რამდენსამე კილომეტრზე, მტრის უმნიშვნელო ძალა იზონცოზე გადავიდა. ცნობა ამტკიცებს, რომ იტალიელები ისევ მდ. მარჯვენა ნაპირზე გავდევნეთო.

### იერიშები მიტროვიცაზე.

„ბერლ. ტაგებლატის" სამხედრო კორესპონდენტის ცნობით, ამჟამათ უუსას ტიკეს ბრძოლის ცენტრათ გამხდარია გასასვლელები პრიშტინისა და სათიბისკენ. სერბიელები აქ დიდ თავგანწირულობას იჩენენ და თავისი მედგარი წინააღმდეგობით აჩერებენ მოპირდაპირის წინ წაწევას. ასე რომ, ყოველი წარმატება ავსტრო-გერმანელებისაგან ძვირფას მსხვერპლს მოითხოვს, რადგანაც ხშირათ ბრძოლა ხელჩართული შეტევით სრულდება.

კორესპონდენტის აზრით, სერბიელების განზრახვაა, შეაგროვონ რაც მათ განკარგულებაში ძალებია და გადამწყვეტი ბრძოლა დაიწყონ კასოვოს მინდორთან.

„ფოსიშე ცეიტუნგის" კორესპონდენტის ცნობით, გერმანელები და ბულგარელები დიდ წინააღმდეგობას ხვდებიან მთების ფერდობებზე, რომელიც პრეპოლინდიდან სათიბებისაკენაა მიმართული. შარის ვაკის მიდამოებში კი სერბიელები მკაცრ კონტრიერიშებს აწარმოებენ ავსტრო-უნგრელების წინააღმდეგ, რომელნიც დასავლეთით მიტროვიცას უტევენ.

### როგორ იხევს სერბიის ჯარი.

მილანური გაზეთ „სოკოლო"-ს კორესპონდენტი მონასტირში მყოფი ლუიჯი მაგრინი დეპეშით იტყობინება, რომ სერბიელების ჯარის უკან დახევა დამოკიდებულია სურსათის საკითხის საჭიროებასთან, რადგანაც ჯარისათვის სურსათი უმთავრესათ იყო მორავის ველაში, კრაგუევაცში და შაბაცის რაიონში, რომელნიც, როგორც ვიცით, უკვე ავსტრო-გერმანელების ხელში გადავიდენ.

ერთხელ გენ. ბოევიჩმა უკვე დაუთმო ბულგარელებს კაჩანიკის უღელტეხილი, მაგრამ, როგორც კი მაშველი ჯარი მიუვიდა, მოულოდნელი თავდასხმით ისევ დაიბრუნა იგი.

კრიშტინ-მიტროვიცის ხაზს ჯერჯერობით საფრთხე არ მოელის, რადგანაც კაჩანიკის უღელტეხილზე სერბიელები ბატონობენ.

მაკედონიის ფრონტის სამხრეთ სექტორში, იტალიის ჟურნალისტების აზრით, მდგომარეობა მოკავშირეთათვის უფრო კარგია, ვიდრე ცენტრსა და ჩრდილოეთით, რადგანაც ბულგარელები კვლავ უშედეგოთ განაგრძობენ იერიშის მიტანას ფრანგების პოზიციების წინააღმდეგ კრივოლაკთან.

### სერბიის არქივის ხელში ჩაგდება.

ბულგარეთის მთავარ ბინასთან არსებული ბეჭდვითი ბიურო იტყობინება, რომ ბულგარეთის გარნიზონმა ნიშში აღმოაჩინა სრულიად ხელშეუხებელი მეფე პეტრეს კონაკის ერთ ფლიგელში სერბიის სახელმწიფო არქივი. აქვე იპოვეს ბულგარელებმა დელენ-კონვენციისა, რომელიც დადებული იყო შარშან სერბიასა და ვატიკანს შორის და აგრეთვე მთელი წყება დოკუმენტებისა, რომელიც 1912—1913 წ. ბალკანეთის ომს შეეხება.

ერთ ერთ კერძო შენობაში ნიშში ბულგარელებმა აღმოაჩინეს სერბიის ეროვნული ბიბლიოთეკა, რომელიც ბელგრადიდან იყო წამოღებული და მთელი რიგი ხელოვნებათა ნაწარმოებისა.

ამასთანავე ბეჭდვით ბიურო კვებნით აღნიშნავს, რომ ნიშის მიდამოებში ბულგარელებმა აღმოაჩინეს ინგლისისა და საფრანგეთის ჯარის კაცთათვის ტანისამოსის საწყობები და დიდძალი თამბაქო.

### სერბიის სამხედრო მინისტრის აზრი.

სერბიის სამხედრო მინისტრი, სტეფანოვიჩი „დეილ ტელეგრ." კორესპონდენტთან საუბრის დროს აცხადებს:

„სერბიის ჯარმა განადგურებას თავი დააღწია. ამ ჟამათ ჩვენი ჯარის უსაშინელეს მტრათ სურსათის ნაკლებობაა. შიმშილისა და მისგან გამოწვეულ მწარე შედეგების თავიდან ასაცილებლათ სერბიის ჯარმა ერთერთი უნდა გადასწყვიტოს: ან უნდა გაარღვიოს ბულგარეთის ფრონტი, ან და უნდა დაიხიოს ჩრდილოეთ და შუაგულ ალბანეთისაკენ.

### დვინსკის ფრონტი.

„რუსკ. ინვალიდი" სწერს: დვინსკის ფრონტზე ჩვენი ჯარი მეთოდიურ შეტევას განაგრძობს. ამ უკანასკნელ რამდენსამე კვირაში დვინსკთან გერმანელებმა ვერც ერთხელ ვერ წამოიწიეს წინ აღმოსავლეთის მიმართულებით. ილუკსტთან გახშირებული იერიშები თითქმის სრულებით შესწყდა. სმორგონის რაიონში დიდი ხნის სიჩუმე დაირღვა და მტერმა მოქმედება დაიწყო. როგორც სჩანს, გერმანელები ზომებს ღებულობენ ჩვენს მანევრებს აქ ხელი შეუშალონ.

პრიპიატის რაიონში მტერმა მოქმედება გააფართოვა, მაგრამ მდინარე სტირზე მისი მოქმედება უნაყოფო იყო. გალიციაში ბრძოლა კვლავ განახლდა.

### იტალიის ჯარის გაგზავნა.

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან, რომ იტალიის საექსპედიციო კორპუსი, 50000 ჯ. კაცისაგან შემდგარი, გენერალ ამელიოს უფროსობით უკვე გაიგზავნა ბალკანეთის ფრონტზე ალბანეთით. ვალონსა და დურაცოში ემზადებიან ჯარის შესახვედრათ.

# ახალი ამბავი.

### ქუთაისი.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა ხუთი თუმნით დააჯარიმა ქუთაისის მოვაჭრე ლუკა ზვიადაძე და ერთი თუმნით მეპურე პლატონ კაკიტაძე. 29 სტ. სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის.

✦ ორშაბათს, 23 ნოემბერს დანიშნულია ქუთაისის ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა.

✦ წარსულ არა ჩვეულებრივ კრებაზე ქუთაისის თავად-აზნაურობამ დაადგინა: შუამდგომლობა აღძრას სათანადო მთავრობის წინაშე, რომ კონცესიის სახით ნება დართონ გაიყვანონ რკინის გზა ონი—ქუთაისი—წყალტუბო—ხონი და სამტრედიას შუა.

ამის შესახებ თავად-აზნაურობამ ნებართვა უკვე მიიღო. საგანგებო თათბირი თავად-აზნაურთა დეპუტატებისა ამ საქმის გამო მოხდება თავ. დ. ო. ნიჟარაძის ჩამოსვლის შემდეგ.

✦ დღეს, 19 ნოემბერს, დილის 12 საათზე, დანიშნულია საგუბერნიო ციხის მეთვალყურე კომიტეტის სხდომა.

✦ 1 დეკემბერს ქუთაისის საოლქო სასამართლოს დარბაზში მოხდება მსურველების გამოცდები გვარის ნოტარიუსის თანამდებობაზე.

ქუთაისის ქალაქის საოჯახო კომისიამ შემდეგ ნაირათ გაანაწილა სანოვაგეებისათვის ვაგონები.

ფქვილისთვის—29 ვაგ. სიმინდისათვის—16 ვაგ. თივისთვის—16 ვაგ. სხვა და სხვა სანოვაგისათვის—72 ვაგ.

✦ 9—10 ნოემბრამდი ქუთაისში შემოვიდა შემდეგი სანოვაგე:

ფქვილი—33 ვაგ. მარილი—2 ვაგ. შეშა—17 ვაგ. ნავთი—2 ქვაბი, მაზუთი—1 ქვაბი ქვანახშირი—3 ვაგ. ლეხანა—4 ვაგ. კარტოფილი—1 ვაგ.. ბზე—1 ვაგ. თევზი—1 ვაგ. სხვა და სხვა სანოვაგე 2834 ფ.

✦ ქალაქის სანიტარმა ილია ჩაჩანიძემ 16 ნოემბერს სადგურის მახლობლათ ოქმი შეუდგინა უსუფთაობისათვის მ. კაშიას, ბ. ფირცხალავას და ი. ვარზაშვილს.

✦ ქუთაისის სანიტარული ექიმი სერ. დადუნაშვილი დაინიშნა ქუთაისის სულით ავადმყოფთა სამკურნალოს ექიმათ, ბ-ნ სეგალის მაგივრათ.

✦ სახელმწიფო საბჭოს წევრი თ-დი ა. ერისთავი ამ ჟამით ქუთაისში იმყოფება.

✦ ეს ერთი თვეა, [illegible] ქიმიური ლაბორატორიაში მუშაობა შეწყვეტილია, ამის გამო ზოგიერთი საკანდიტერო ყურის მდებელი აღარა ჰყავს და ცუდ მაწონს ჰყიდიან.

✦ ქუთაისში ამ ჟამათ შაქარი თითქმის აღარ იშოვება, განსაკუთრებით წვრილ ვაჭრებთან. მსხვილ ვაჭრებს შაქარი კიდევ აქვთ, მაგრამ ნიხრს ზევით ჰყიდიან. გუბერნატორის დადგენილებით თვის შაქარი გირ. 21 კ. უნდა იყიდებოდეს.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო ელენე ნ. ლოლუას გახსნას ჭრა კერვის შკოლა დ. ზუგდიდში.

✦ 19 ნოემბერს, ქუთაისის სამიწადმოქმედო სამმართველოს მიერ დანიშნულია ხელმეორე შეფასება არქიელის გორაზე მდებარე სახელმწიფო უძრავ ქონებათა.

### სოფლათ

— ს. ხორი (რაჭის მაზრა) 2 ნოემბერს ავაზაკებმა გაძარცვეს ქიშვარდი ჯაფარიძე, წაიღეს 700 მ. ღირებულა ნივთები და ნაწილი ფულათ.

— ს. დიდ ჯიხაიშსა და ს. კულაშში საქონლის ჭირი გაჩნდა.

# ვიკენტი (ჭოლა) ლომთათიძის დაკრძალვა

კვირას, 15 გიორგობისთვეს, ქვაშვეთის ეკლესიის გალავანში დილიდანვე იწყო ხალხმა დენა. დეპუტაციები ჩამოვიდნენ ბათომიდან, გურიიდან, ქუთაისიდან, ოზურგეთიდან, ბაქოდან და სხ. ქალაქის თვითმართველობის მხრივ დაესწრნენ ა. ი. ხატისოვი და გ. დ. ქურული, ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მხრივ—ა. გოთუა. იყვნენ წარმომადგენელნი თბილისის მუშათა კოოპერაციებისა, სხვა და სხვა სასწავლებლის მოწაფენი და რედაქციების წარმომადგენელნი. საგანგებოდ ჩამოვიდნენ ნოე ჟორდანია და ევგენი გეგეჭკორი. ხალხით ავსილი იყო ეკლესია, ეკლესიის ეზო და მახლობელი ქუჩები. წირვა და პანაშვიდი დასრულდა 12 საათზე. მიცვალებული გამოასვენეს ეკლესიის ეზოში. აქ სიტყვა წარმოსთქვა ბ-ნმა ევგენი გეგეჭკორმა. შემდეგ სამგლოვიარო პროცესია დაიძრა გოლოვინის პროსპექტით. მიცვალებულს მიუძღოდნენ დეკან. კოლ. ცინცაძე და ნ.

# ჩვენი „ინტერნაციონალისტები".

### ქართველ—სომეხთა საკითხის შესახებ.*)

შემდეგი იხ. სამშ. №126.

ყოველი მოვლენის უკიდურესობა თავის უარყოფად გარდაიქმნებაო, ამბობს ჰეგელი.

ეს დებულება მართალია.

„სანფარებს" ალბად უკიდურესი „ინტერნაციონალისტობით" მოსდისთ რომ ეროვნულ საკითხში მარტო ეთნოგრაფიულ პრინციპს აღიარებენ. მაგრამ სამწუხაროდ, ასეთი ცალმხრივობა გამოუსადეგარია თვით იმ ეროვნული უმცირესობისათვის, რომლისთვისაც მზად არიან შესწირონ მსხვერპლი.

მეორე მხრით, ვფიქრობ, არც შპრინგერი და ოტო-ბაუერი არიან მათზე ნაკლები ინტერნაციონალისტები, მაგრამ მათ სულ სხვაგვარად გადასწყვიტეს ხსენებული საკითხი. ისინი ამბობენ: ეროვნულ უმცირესობას იქ უნდა ჰქონდეს შესაფერი სასამართლო, საერობო და ადმინისტრაციული მართვა-გამგეობა, სადაც მას უმთავრესად მოეპოვება ეკონომიური ინტერესები. რაც შეეხება სწავლა-განათლების საქმეს, ამისთვის მთელ ერს, გაფანტულს სახელმწიფოში, უნდა გარდაეცეს საერთო საშკოლო ბიუჯეტის ნაწილი, რომელიც უნდა მოიხმარონ ეროვნულმა პარლამენტმა და ადმინისტრაციამ თავისი სურვილისამებრ. ამას ეწოდება ეროვნულ-კულტურული ავტონომია.

მაშასადამე, მათი აზრის თანახმად, უბრალო ადმინისტრაციულისა და სამოსამართლო საქმეებისათვის, ახალქალაქელი და თფილისელი ვაჭრები, რომელთაც მუდამ აქვთ ერთმანეთთან ანგარიში გასასწორებელი, ვერ გადაიხვეწებიან ერევანში. მათი საქმეები უნდა გაირჩიოს უთუოდ თფილისის ცენტრალურმა სასამართლომ, რადგან ეს ორივე მხარეს გაუადვილებს საქმეს. მეორე მხრით, თფილისიდან ახალქალაქამდის გზის გაყვანა თფილისის გუბერნიის საერობო თვითმართველობისათვის უფრო საინტერესო იქნება, ვიდრე ერევნის გუბერნიის საერობო თვითმართველობისათვის, რადგან ხსენებულ გზას გაცილებით მეტი მნიშვნელობა ექნება თფილისის გუბერნიის მცხოვრებთათვის, ვიდრე ერევნის გუბერნიის მცხოვრებთათვის.

ამ გვარად იზიდავს ეკონომიური ცენტრი განსაზღვრულ არემარეს. და ამ მიზიდულობის რაიონი უნდა წარმოადგენდეს იმავე დროს ადმინისტრაციულსა, სამოსამართლოსა და საერობო ერთეულს.

ეს სოციალური კანონია, რომლის დარღვევაც შეაჩერებს ეკონომიურისა და კულტურული ცხოვრების წინსვლას.

გავიმეორებ, ახალქალაქისა, ბორჩალოსი და ზაქათალის ოლქის მაზრები ეკონომიურად თფილისის განუყრელი ნაწილები არიან და მათი დამოკიდებულება ერევანთან და განჯასთან უმნიშვნელოა.

წარმოვიდგინოთ, მეორე მხრით, რომ ახალ ქალაქისა და ბორჩალოს მაზრები მოვსწყვიტეთ თფილისსა და მივაკერეთ ერევნის გუბერნიას. რა-და მნიშვნელობა და გავლენა ექნებათ მაშინ თფილისისა, გორისა, თელავისა, სიღნაღისა, ახალციხისა და სხ. სომხებს? არავითარი, რადგან საქართველოში სომხობა ისედაც ცოტაა და, ნახევარიც რომ ჩამოშორდეს, სრულიად უმნიშვნელო-ღა იქნება.

მაშ, ხსენებული მაზრები რომ საქართველოს ჩამოვჭრათ, ეს სომხებისთვისაც ყოველი მხრით საზიანო იქნება.

ხსენებულ მიზეზთა გამო, სომხების გულს ვერც მაშინ შევაჯერებთ, ჩვენთან ეკონომიურათ შესისხლხორცებული მაზრებიც რომ ჩამოვსჭრათ საქართველოს და ერევნის გუბერნიას შევუერთოთ, რადგან ეს—საქართველოს სომხების ეკონომიური და პოლიტიკური სიკვდილი იქნება. მათთან შერიგებაზე ლაპარაკი მეტია, რადგან ისინი ვერაოდეს ვერ შეურიგდებიან საქართველოს ავტონომიას, რაც უნდა დასახიჩრებული იყოს იგი. ამიტომ, თუ მათს დასტურსა და თანხმობას ელით, ამაოდ შვრებით, ბ. „იმ—ამ"!

გაზეთულს გატეხილი სჯობიაო, ნათქვამია. და ცილისწამებაში ნურავინ ჩამომართმევს, თუ ვიტყვით, რომ სომხების განზრახვაა შექმნან ამიერ კავკასიაში სომხური ტერიტორია, რომელიც, მათი ფიქრით, უნდა შესდგეს: ერევნის გუბერნიისაგან, განჯის გუბერნიისაგან ჩამოჭრილი ერთი დიდი ნაწილისაგან, ყარსის ოლქისაგან, ახალციხისა და ახალ ქალაქის მაზრებისაგან და ბორჩალოს მაზრისა და თფილისის მაზრის უდიდესი ნაწილისაგან თბილისამდის. ამას ამტკიცებს მოგვალი სომხეთის ის რუქა, რომელიც, უეჭველია, „იმ—ამ"-საც ექნება ნახული.

და, მართლაც, ეკონომიურ პირობათა გამო სომხები მხოლოდ ამგვარ ავტონომიას თუ დასჯერდებიან, თორემ, თბილისი და თბილისის მაზრა, ახალციხის მაზრა და ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრების ჩამონაჭრები რომ ჩამოართვა, საქართველოს ტანარჩენი ნაწილიც რომ უთავაზო, მაინც არ იქნებიან კმაყოფილი, რადგანაც მაშინ თავის ტერიტორიაზე ვერ მოიკრებენ იმას, რასაც საქართველოში დაჰკარგავენ.

დიახ, მათი მიზანია, ან მოიპოვონ ფართო ტერიტორია უმთავრესად საქართველოს მაზრების შეერთებით ან და უფლებრივი მდგომარეობა საქართველოშიაც და სომხეთშიაც დარჩეს უცვლელი. და მათ ისე არაფერი არ აშინებს, როგორც საქართველოს ავტონომია.

მაშასადამე, ქართველებისა და სომხების შერიგება ავტონომიის საკითხის გარშემო შეუძლებელია. და ამ საკითხის შესახებ ჩვენ შევხვდებით ერთმანეთს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში, როგორც მოპირდაპირენი.

მაგრამ ეს ხომ ინტერნაციონალიზმის უარყოფა იქნებაო, გვეტყვიან ჩვენი „ინტერნაციონალისტები", რადგან ინტერნაციონალიზმი მოასწავებს მეგობრობას და არა ბრძოლას ერთა შორისო.

მაგრამ საერთაშორისო მეგობრობა—ბრძოლის შედეგია და მეგობრობამდის ყოველთვის ბრძოლას ჰქონია ადგილი. მაშასადამე, ინტერნაციონალიზმი—მებრძოლ ერთა შორის შეთანხმებასა და შერიგებას ნიშნავს, ე. ი. ამ მცნებაში არის ორი ელემენტი, ბრძოლა და მეგობრობა.

სპენსერი ამბობს თავის „ეთიკის პრინციპებში": როდესაც რომელიმე ერი სისუსტეს გამოიჩენს, თავის ინტერესს არ დაიცავს და მზად არის დასთმოს ყველაფერი, რასაც მოითხოვს მისგან სხვა ერი, ამგვარი დათმობა გაათამამებს უკანასკნელს. ამას მოყვება შედეგად პირველის დამონება და მეორის გაბატონება. და, რადგან ბატონ-ყმობა რყვნის მონასაც და ბატონსაც, ამიტომ ის ერი, რომელიც თავის უფლებას არ იცავს, ცოდავს ზნეობრივი პრინციპის წინაშე, მისი საქციელი უზნეოაო.

და, ვფიქრობ, რომ,

ნამდვილი ინტერნაციონალისტი—და არა ინტერნაციონალისტი ფრჩხილებში—ის არის, ვინც თავის ეროვნულ უფლებას აღიარებს და იმავე დროს სხვის ეროვნულ უფლებასაც პატივსა სცემს.

ამ თვალსაზრისით კი ჩვენი სოციალისტები არ არიან ნამდვილი ინტერნაციონალისტები. მაგალითად, სანდრონებმა, ანუ „დასელებმა", სრულიად უარყვეს საქართველოს ავტონომია, სანფარებმა კი ხელი აიღეს საქართველოს საუკეთესო ნაწილზე და შესთავაზებს სხვა ერს, რომლის გულიც ვერც ამ დათმობით შეაჯერეს.

არა ერთხელ გვითქვამს, რომ ეროვნული დემოკრატია პატივსა სცემს თითოეული ერის სამართლიან უფლებას, მაგრამ იმავე დროს თავის ეროვნულ უფლებას არავის უთმობს. მაშასადამე, ჩვენს სოციალისტებს არავითარი უფლება არ აქვთ, ეს იდეა მარტო თავის პრივილეგიად გამოაცხადონ. პირიქით, მათი ინტერნაციონალიზმი—გადაგვარებული, დასახიჩრებული ინტერნაციონალიზმია, რომელსაც გული უკვე დაჰიანებია, და დაფუტუროებია.

რაც შეეხება პლებისციტს, ამის შესახებ იმასვე ვეტყვი ბ. „იმ-ამს", რაც ილია ჭავჭავაძემ უთხრა პეტროგრადში ისიდორე რამიშვილს. ამ ამბავს ასე მოგვითხრობს ივ. გომართელი:

**ილია ჭავჭავაძე.** ბ. ისიდორე, რა, გაქვთ ავტონომიის წინააღმდეგ.

**ისიდორე რამიშვილი.** ჩვენ არაფერი, მხოლოდ ხალხს არა სურს და ჩვენც უარვყოფთ, როგორც ხალხის ნების აღმასრულებელნი.

**ილია ჭავჭავაძე.** ეს სადაურია?! თქვენ თუ ხალხის წინამძღვრებად აღიარებთ თავს, ამგვარი საკითხის შესახებ თქვენ კი არ უნდა ჰკითხავდეთ ხალხს, არამედ ხალხი უნდა გკითხავდესთ თქვენ.

და, მართლაც, ისტორიამ დაამტკიცა, რომ პლებისციტს ყოველთვის იმის სასარგებლოდ გადაუწყვეტია საკითხი, ვის ხელშიაც ყოფილა ძალა და არა სიმართლე.

ჩვენი ფიქრით, სოციალურისა და ეროვნული საკითხების სამართლიანი გადაწყვეტა ჩვენში სხვა გზით უფრო შესაძლებელია, ვიდრე პლებისციტით, რადგან ხმის მიცემის ამ უკანასკნელი ფორმისათვის ხალხის დიდი პოლიტიკური მომზადება არის საჭირო.

ისარი.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თალაკვაძე. ორი ბალდახინი 98 გვირგვინით იყო დატვირთული. ამ გვირგვინებიდან 47 რკინის გზით თან მოჰყვა მიცვალებულის კუბოს. სამგლოვიარო პროცესია დიდი ხალხისაგან შესდგებოდა. კუკიის სასაფლაოზე სიტყვა წარმოსთქვეს გურიისა, ბათომისა და გორის წარმომადგენლებმა, თბილისელ თანამგრძნობ მოსწავლეთა მინდობილობით ერთმა შეგირდმა და აგრეთვე რუსულ ენაზე ბ-ნმა კუზნეცოვმა და აზატიანმა. ნაშუადღევის ნახ. საათზე სიტყვები დასრულდა და ჟამთ უკუღმართობის გამო უდროოდ განსვენებულ პოეტის გვამი მიწას მიაბარეს.

გვირგვინები იყო: 1, 2, 3 და 4 სახელმწიფო სათათბიროს სოც.-დემ. ფრაქციისაგან, შრომის ჯგუფისა და კადეტების ფრაქციისაგან, მოსკოვისა, პეტროგრადისა, სარატოვისა, როსტოვისა, ბაქოსა, ბათომისა, ქუთაისისა, თბილისისა და სხვა მუშათა კორპორაციებისაგან, ბაქოს ქართულ სალიტერატურო სამხატვრო წრისაგან, ხარკოვის კლუბის მოსამსახურეთაგან, აფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მკერვალთაგან და სხ.

## კ. ფოცხვერაშვილის კონცერტის გამო.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ბ-ნი კ. ფოცხვერაშვილი 27-სა და 29 ამ თვეს გამართავს დიდ-კონცერტს და 200 კაციან გუნდით შეასრულებს ქართულ საეკლესიო და საერო გალობა-სიმღერებს. სხვა დროსა და სხვა პირობებში, ე. ი. ჩვენ რომ გვესმოდეს მნიშვნელობა ამ გალობა-სიმღერისა, ჩვენ რომ ქართულად ვიყოთ აღზრდილნი და განვითარებულნი, ჩვენ რომ მოწყვეტილი არ ვიყოთ მშობლიურ ნიადაგს, ვიცოდეთ ჩვენი წარსული და ის გავლენა, რა გავლენაც ჰქონდა ძველად საქართველოს წინა-აზიის ერებზე, ან რა შეგვიძენია ჩვენ მათგან, ბ-ნ კ. ფოცხვერაშვილის მომავალი კონცერტი ჩვენ მოგვცემდა ერთ-ერთ უტყუარ საბუთს ქართველი ერის ძლიერებისას, მაგრამ დღეს იგი უნდა მოვისმინოთ, როგორც უცხოელებმა, როგორც ევროპიულად განათლებულმა და შეიძლება ბევრმა ჩვენთაგანმა ვერც კი დააფასოს საუკუნოებითი კვნესა ქართველი ერისა!...

აი რას ამბობს გამოჩენილი აკადემიკოსი ნ. მარრი ქართული გალობის შესახებ—ამავე კ. ფოცხვერაშვილის კონცერტის გამო, რომელიც გაიმართა პეტროგრადს 1914 წელს.

„სხვა პირობებში დღევანდელი კონცერტი „ქართული მართლ-მადიდებელ ქართლურ-კახურ და იმერულ-გურულ საგალობლებისა", როგორც ეს აღნიშნულია აფიშაზე, დიდი კულტურული დღესასწაული იქნებოდა თანამედროვე ადამიანის სულისათვის, რომელსაც არა მარტო მექანიკურად წარიტაცებს ზეცა, არამედ რომელსაც შეუძლიან ფსიხოლოგიურად მისწვდეს ჩვენი სულიერი საგანძურის ფესვებს, ხანდახან შეეხოს ან იხილოს, ხანდახან კიდეც მოისმინოს ეხლანდელი კულტურის წინაპრების ქმნილებანი. კონცერტი მარტო საეკლესიო გალობის მოყვარულთათვის არ უნდა იყოს ფრიად საინტერესო. სხვა პირობებად მე არ ვგულისხმიერობ არც იმას, თუ როგორია ჩაწერილი საგალობლები, არც იმას, თუ როგორ იქნება შესრულებული. უეჭველია, ამ მხრივ ყველაფერი იქნება გაკეთებული, ამის თავმდებია არხანგელსკის ხორის მონაწილეობა, იმის პირადი ხელმძღვანელობა და ენტუზიაზმი საქმის მეთაურებისა. კონცერტის ამ მხრივ გარჩევა სპეციალისტების საქმეა.

სხვა პირობები, რომლებიც ზევით ვახსენე, საჭირო იყო ჩვენი საზოგადოების, თუნდ მისი უფრო განათლებულის ნაწილის, მოსამზადებლათ, რათა ისტორიულად სწორედ შეითვისოს და დააფასოს აღმოსავლეთის კულტურის შემოქმედების ნაშთები. მაგრამ ამის იმედი სუსტია, თუმცა საქმე შეეხება არა ადგილობრივი ნაციონალიზმის გამოცხადებას, როგორც შეიძლება აფიქრებინოს ვისმე აფიშამ, არამედ საუკუნეთა სიღრმიდან აღმსდგარ საეროთ-საკაცობრიო გენიოსის შემოქმედებას.

საქმის მეთაურები, ეტყობათ, ჰგრძნობდნენ, რომ უნაყოფოა საზოგადოების ფართო წრეებისადმი მიმართვა; მათ ჩანს, არც საეკლესიო გალობის მოყვარულთა ვიწრო წრის ცოდნის იმედი ჰქონდათ და შეეშინდათ, სიტყვა „ქართული" რამე მწვალებლობად არ მიიღონ, ამიტომ აფიშაში „ქართულ ეკლესიას" დაურთეს სიტყვა „მართლმადიდებელი", თითქოს არსებობდეს სხვა ქართული ეკლესია. არსებობენ კათოლიკე ქართველები და მაჰმადიანი ქართველებიც, მაგრამ ქართული ეკლესია ერთია, დიდებნის ეკლესია, რომელიც დაარსდა რუსეთის გაქრისტიანებამდე რამდენიმე საუკუნით წინ და რომელიც ჯერ აღმოსავლეთურ-მართლმადიდებელი იყო და მერე ბერძნულ-მადიდებელი. და ეს ქართული ეკლესია, რომელსაც 15 საუკუნის სიცოცხლე აქვს, არის შემნახველი და დამცველი ძველი სახალხო სარწმუნოებრივ გალობისა.

ამ გალობის გაქრისტიანულება არ მომხდარა საქართველოში ქრისტეს მოძღვრების დამკვიდრების პირველ დღიდანვე... მხოლოდ როცა ქრისტიანობა შეითვისა ფართო მასსამ და მოხდა ერის ქრისტიანიზაცია და ამავე დროს ქრისტიანობის ნაციონალიზაცია, ეკლესიამ შეითვისა ძველი სარწმუნოებრივი გალობის კილო, რომელიც ჩაექსოვა ქრისტიანულ საგალობლებს.

ეს შემოქმედებითი დრო საქართველოში იყო VII—VIII საუკუნოებში, როცა განვითარდა ეროვნული ეკლესია. არის ლიტერატურული საბუთები, რომლებიც პირდაპირ შეეხებიან IX—X ს. ქართული საეკლესიო გალობას. დღემდის მოიპოვება ხელნაწერები ძველი საეკლესიო გალობის სანოტო ნიშნებით როგორც საქართველოში, ისე იერუსალიმში, სინას მთაზე და ათონში.

ამას წინად ტფილისში გამოსცა სამშობლოს სიძველეთა ახალგაზდა ენტუზიასტმა ინგოროყვამ მიქელ მოდრეკილის საეკლესიო საგალობელთა ძველი ხელნაწერი, სადაც ბერძნულ საგალობლებთან ერთად დასახელებულია ადგილობრივი ქართული. არის პირდაპირ საბუთი იმისა, რომ XI—XII საუკ. ქართული გალობა გავრცელდა საქართველოს გარეშე არსებულ ქართულ მონასტრებში და დაიკავა იქ ბერძნული გალობის ადგილი. სინას მთაზე შენახულია ანდრია კრიტელის მარხვანი, მეთორმეტე საუკ. ქართველი მწერლის არსენის მიერ ნათარგმნი, რომელსაც დართული აქვს წარწერა მთარგმნელისა; ეს წარწერა ამტკიცებს, რომ მთარგმნელნი საგალობლებისათვისაც ქართულს კილოს ხმარობდნენ. ქართველი მეფენი და მაღალი წოდება ყველაზე მეტად ხელს უწყობდენ ძველადვე ახალს ეროვნულ კილოს შეტანას საეკლესიო გალობაში.

ძველებური ხალხური ტრადიციების წყალობით საეკლესიო გალობა საქართველოში არ გაიყინა გარედან გადმოღებულ ქრისტიანულ კილოზე და ხალხური ტრადიციების ორი შტო—ივერული და ქართლური დაედვა საფუძვლად ერთის ქართული ეკლესიის იმერულ-გურულ და ქართლ-კახურს საგალობლებს.

ქართველების რელიგიური მუსიკალური ტრადიციები მარტო ორ კილოში არ გამოიხატება. ყოველ შემთხვევაში საეკლესიო საგალობლებად გარდაქმნილ რელიგიურ სიმღერებთან ერთად არსებობს ძველი კულტის რელიგიური სიმღერების ნაშთი—სახორო სიმღერები. გურულებს და მეგრელებს ეს შერჩათ საერო სიმღერის სახით: სხვების სიმღერებს კი, მაგალ: სვანებისას და აფხაზებისას აქამდის მეტ ნაწილად რელიგიური გალობის ხასიათი აქვს.

მაგრამ დიდი შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ ქართველების მუსიკალური ტრადიციები კავკასიის ნიადაგზე აღმოცენდა. ამ ტრადიციებში ჩვენ ვხედავთ უძვირფასეს ნაშთებს წინა აღმოსავლეთის იმ ძველის—ძველ კულტის ხმებისას, რომელიც დაიმკვიდრეს ქართველებმა ელამსა და მის ახლო მახლო მცხოვრებ თავის მონათესავე უძველეს ტომისაგან. ამ ხმების სიძველე ისე დიდია, როგორც სიძველე წინა აზიის რელიგიებისა, რასაც მოწმობს ლურსმული წარწერები. ამ შორეულის, უძველეს დროიდან მომდინარეობს არა მარტო რელიგიური კილოები ქართველებისა, არამედ მათი რელიგიური ტერმინებიც, თუმცა სრული გაქრისტიანულება ეტყობა ერთსაც და მეორესაც.

ააპრიორი შეიძლება ითქვას, რომ სხვა ქრისტიანე ეკლესიებთან ურთიერთობის დროს მრავალი საუკუნის განმავლობაში ქართული საეკლესიო გალობა დაემორჩილა ამა თუ იმ გავლენას, მაგრამ ამ გალობის საფუძველს შეადგენს აღმოსავლეთის ხალხური ტრადიციების შემოქმედება, რომელიც გაცილებით უფრო ძველია, ვიდრე ქართველების გაქრისტიანება და თვით ქრისტიანობის წარმოშობა საზოგადოდ. ქართველების სიმღერები ნაშთია ძველი აღმოსავლეთის რელიგიური კულტისა და არა სემიტურ და არიულ ტომებისა, არამედ მეცნიერების მიერ ახლად გამოკვლეულ იაფეტურ ტომებისა, რომელთა ცოცხალი წარმომადგენლებიც დღესაც არიან და იცავენ დედამიწის უძვირფასეს ნაშთებს. როგორც სომხეთის ხუროთმოძღვრების შესწავლის დროს, რომელმაც საერთო ყურადღება მიიპყრო ბოლო დროს, იძულებულნი ვართ მივიდეთ სემიტებისა და ბერძნების წინა დროს სახუროთმოძღვრო ხელოვნების ფესვებამდე, ამგვარადვე ქართული სიმღერის და გალობის გამოსაკვლევად უნდა მივმართოთ წინა აღმოსავლეთით უძველეს ნაშთებს...

ძველი კულტი არ გამოიხატება მარტო არქიტექტურულ ხაზებში. კულტის ისტორიას არ შეუძლიან უყურადღებოდ დასტოვოს ხმათა ნაშთები, რომლებიც ისე მჭიდროდაა დაკავშირებული, როცა ამის შესასწავლად არსებობს წყაროები. თუ სახუროთმოძღვრო ნაშთების აღმოსაჩენად საჭიროა გათხრა, ფრთხილი და რთული; დადგება დრო, რომ გამოკვლევა ყურადღებას მიაპყრობს სულ სხვა მხარესაც, სახელდობრ ეთნოგრაფიულს. კავკასიის ეთნოგრაფიის გამოკვლევა, ცოცხალ სიძველეთა შესწავლა უეჭველია მოგვცემს იმას, რაც აკლია დღეს არა მარტო ქართული ეკლესიისა და ქართული ერის ისტორიას, არამედ წინა აღმოსავლეთის ძველ კულტურულ კერის ისტორიასაც, იმ კერის, სადაც იყო აკვანი თუ მთელი კაცობრიობის არა, ჩვენი ევროპის კულტურისა მაინც. მაგრამ სანამ ფილოლოგია იგვიანებს, მიტომ, რომ კვლევის ძველებურ სხოლასტიურ მეთოდს მისდევს, თუ საკმაო სახსარი არ მოეპოვება, ცხოვრება არ იცდის: გატაცებულმა მუშაკებმა სხვა მხრივ შემოუარეს საქმეს და დაამუშავეს ძვირფასი ნაშთები, რომლებიც გაუცნობლად იღუპებიან. და ჩვენ არა დაგვრჩენია-რა იმის მეტი, რომ მოვისმინოთ ის, რაც სხვა პირობებში უნდა მოესმინა არა მარტო განვითარებულს (თუმც ცალმხრივად განვითარებულს) ყურს.



## ელო ანდრონიკაშვილი

(დღევანდელ ბენეფისის გამო).

## „წერილი ამხანაგთან"

### ქართველი ისრაელების ცხოვრებიდან. *).

ძვირფასო ძმაო ი. ა—ნის ძევ!

მივიღე თქვენი წერილი, რომელმაც, ძლიერ გამახარა.

თქვენ მწერთ: „მიუხედავათ იმისა, რომ თქვენმა წერილმა ძლიერ მასიამოვნა, ერთგვარი მწუხარებაც კი მაგრძნობია. რადგანაც ჩვენ, ქართველი ებრაელები. ძალიან ცუდ პირობებშიაც ვიმყოფებით, და საამისო ძალაც არ შეგვწევს, რომ ყველა ეს აზრი განვახორციელოთ." ცოტა ქვევით სწერთ:

„ერთიც რომ იყოს და მეორეც, ერთი იქეთი რამ გვაკლია, ურომლისოთაც არაფრის გაკეთებაც არ შეგვიძლია. ეს არის „სწავლის უქონლობა." და რასაც თქვენ ნატრობთ,—საიმისოთ მომზადებული არ ვართ"-ო.

ამხანაგო! ნუ გაიტეხ გულს! იყავით დამშვიდებით და ცოტა მეც მომისმინე.

თქვენ რომ ბრძანებთ, ძალიან ცუდ პირობებში ვართო, თუ საერთოთ დღევანდელ უბერხულ, უბედურ მდგომარეობაზე ლაპარაკობთ, ეს სხვაა. მაგრამ მარტო ჩვენ ხომ არ განვიცდით ამ უბედურებას!

ამ მდგომარეობაშია დღეს მთელი განათლებული ევროპა, და, ერთი მითხარი, რომელმა ხალხმა, ან რომელმა ერმა აიღო ხელი, თავის კულტურულ—განვითარებას. პირიქით, დღევანდელმა კრიზისმა, უფრო ნათელჰყო მთელი ევროპისა, და კერძოთ ყოველი ერისთვის, რომ „მისი მომავალი კეთილდღეობა, დამოკიდებულია, **მის ეროვნულ,—კულტურულ ამაღლებაზე.**

მართალია, დროთა ვითარებისა გამო ჩვენ არ მიგვიღია სასკოლო სწავლა, ჩვენ არა გვაქვს დიპლომი და იარლიკი, მაგრამ უიმედონი მაინც არ უნდა ვიყოთ.

დაკვირვება, გარჯა და შრომა—აი რა გვიხსნის ჩვენ იმ უმწეო მდგომარეობიდან, რომელსაც დღეს ჩვენ განვიცდით და რომელსაც, ჩემის აზრით, უსწავლელობა კი არა **უპრინციპობა** ჰქვიან!

ან რათა გგონია, რომ ჩვენთვისაც არ არსებობდეს უმაღლესი სასწავლებელი, უმაღლესი ინსტიტუტი!

ეს ინსტიტუტია ცხოვრება და მისი მიმდინარეობა. დიპლომი კი:—ამ ცხოვრების მიმდინარეობის დაკვირვება და მისგან მიღებული შთაბეჭდილებანი.

თუ ცხოვრების მიმდინარეობას დავაკვირდებით, თუ ამ ინსტიტუტში, ნაშდვილ გაკვეთილის გარდა—როგორიც არის: ჭამა—სმა, ჩაცმა,—დახურვა, ტროსტი, არშიყობა, კუდაბზიკური ლაქიობა, პირადი ინტერესებით გატაცება, ოქროითა და ალკოგოლითი დათრობა სხვადასხვა—სხვა უზნეობსა და უმაღლეს გაკვეთილებსაც გავივლით და გავიზეპირებთ, გარწმუნებთ რომ, ჩვენი დიპლომი უფრო ცოცხალი იქნება, ვინემ ქაღალდზე დაწერილი მკვდარი და უშინარსო „სიმწიფის მოწმობა".

მაშასადამე, თუ ჩვენ ვერაფერი გაგვიკეთებია, ეს უსწავლელობის ბრალი კი არ ყოფილა, არამედ გაუგებრობის და დაუკვირებლობის, და უფრო იმ უპრინციპობის, რომელშიაც დიდი ხანია შევტოპეთ და რომელსაც ასე მტკიცეთ აქვს ფესვები გადგმული საქართველოში მცხოვრებ ისრაელთა შორის!

ჩვენ ერს—ქართველ ისრაელებს—როგორც კულტურულათ ჩამორჩენილებს, ესაჭიროება მეტი გაგება, მეტი გათვითცნობიერება, თავის ეროვნულ კულტურისა, ენისა და ლიტერატურის მეტი შესწავლა და აღორძინება.

ამისათვის კი საჭიროა მთელი ქართველი ისრაელების ერთ ერთეულად გარდაქმნა, რომ საერთო საქმეს საერთო ძალღონით შეუდგეს, რომ საერთო ტკივილს, საერთო წამლით,—ერთობით განიკურნონ.

დიდი თუ პატარა, ნასწავლი თუ უსწავლელი—სავა კი შეუძლია და ... უნდა იყოს, მოვალეა ამ ნიადაგზე ხალხს სურვილი აღუძრას, და შეასმინოს, რომ ასეთი უმოქმედობით, როგორიც წარსულში გამოვიჩინეთ, დაღუპვა მოგველის და მომავალში ქართველ ისრაელებისათვის მოსასწავებელია, მათი ეროვნულათ გადაგვარება—გადაშენების.

განა ასეთ შეგნებას დიდი „ნასწავლობა" უნდა? არა ამის გასათვალისწინებლად ისეთი სწავლაც კმარა, რომელიც ჩვენი ცხოვრების ცოტაოდენ დაკვირვებიდან მიგვიღია.

თქვენ მეტყვით, ასეთ როლს ქართველი ისრაელების რაბინები და ხახმები უნდა ასრულობდენო.

მართალი უნდა მოგახსენო ჩვენი ხახმები და რაბინები დიდის გაკეთებას შესძლებდენ, რადგანაც ჩვენი ხალხი ე. ი. ქართველი ისრაელები, ერთიან მათ უპირავთ ხელში, ისე რომ გასაქანს არ აძლევენ, და ვინ იტყვის რომ მათ დიდსარგებლობის მოტანა არ შეეძლოთ ჩვენთვის, მაგრამ, როგორც ზევით ვსთქვი, ჩვენი ტკივილი საერთო ტკივილია, და მისი განკურნება საერთო ძალას მოითხოვს, საერთო ძალა კი მოითხოვს მთელი საქართველოს ისრაელების გაერთიანებას კულტურულ ნიადაგზე, და სამწუხაროთ ამ მიზნის განხორციელება ჩვენ რაბინებს და ხახმებს არ შეუძლიათ. რადგანაც, თვით რაბინები და ხახმები ისე გადაკიდებული და წაკიდებული არიან პირადი ინტერესებით, რომ ჯერ თვითონ თვით მათ გაერთიანებას მოუნდება ერთი საუკუნე და ხალხი კი სანქარო მიშველიებას მოითხოვს.

რომელიმე რაბინმა და ხახამმა დღეს რომ კიდევაც მოინდომოს რისამე გაკეთება, ვერ შესძლებს ბოლომდის საქმის მიყვანას, რადგანაც განვლილის და უკანდელ დროებში ჩადენილი ცოდვებით იმდენათ ჩანგრეულია მათი შემაერთებელი გზა და ხიდი, რომ მომავალში დიდი დროა საჭირო მათი აღდგენისათვის. ამიტომ ვამბობ! ისევ ამა თუ იმ დაბა—ქალაქის მცხოვრებ ებრაელების ინტელიგენციამ უნდა იკისროს ამ როლის შესრულება და რადგანაც, როგორც თქვენ ბრძანებთ, ჩემო ამხანაგო, ასეთი აზრი ტრიალებს დღეს ჩვენს ახალგაზდებში „ვითომ უსწავლელობა გვიშლიდეს ხელს", სწორეთ იმათ საყურადღებოთ ვწერ ამ წერილს, რომ ამიერიდან იცოდენ, უსწავლელობა აქ არაფერ შუაშია.

მხოლოდ საჭიროა, მეტი სიცოცხლე, მეტი ენერგია, მეტი დაუღალავი მეცადინეობა.

მართალია, დღეს არა სასურველ მდგომარეობაში ვიმყოფებით, მაგრამ მოვა დრო, როდესაც ძლევამოსილი რუსეთის მხედრობა გამარჯვებით დაასრულებს თავის მისიას და მთელი რუსეთისა და ჩვენის საყვარელი საქართველოს გათავისუფლებით, მათთან ერთად, ჩვენც შევსძლებთ ჩვენის ეროვნული კულტურის აღდგენას. **ნორა.**

*) ამ წერილის დაბეჭდვა დაგვიგვიანდა, მაგრამ გუშინდელ „კერძო თათბირის" შემდეგ (იხ. „სამშ" № 226) ეს წერილი მაინც საყურადღებო უნდა იყოს ქართველი ებრაელებისათვის. **რედ.**

## მ ო წ ო დ ე ბ ა.

თანახმათ ქ. შ. წ. კ. გ. ს-ბის თხოვნისა სად. ძირულაში სულ მოკლე დროში გაიხსნება უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველო, რომლის შესახებ ბ. ქუთ. გუბერნატორისაგან ნებართვა უკვე მიღებული გვაქვს და კურთხევაც ამ დღეებში მოხდება; რისთვისაც უმორჩილესათ მივმართავთ ყველა იმ პირებს, რომლებიც დღეს აქ არ ცხოვრობენ (ვაჭრებს მოხელეთ და ინტელიგენტებს) როგორც ახალი კულტურული და სულიერი საზრდოს აღორძინებითი დაწესებულების სასარგებლოთ, თავიანთი მშობელი სოფლისა ნუ დაიშურებენ ცოტაოდენ წვლილს, როგორც ფულით, აგრეთვე წიგნების და სხვა საჭირო ნივთების შემოწირვით.

ამასთანავე ვსთხოვთ იმ გარეშე პირებს და დაწესებულებებს, რომლებსაც ამ გვარ შემთხვევებში თუ კი რაიმე დახმარება ახსოვდეთ ძირულის საზოგადოებისაგან სრულიათ თუ არა-ნახევრათ მაინც აგვინაზღაურონ მათზე აქაური დავალება.

— ყოველგვარი შეწირულობა უკლისათ დიდის მადლობით გაზეთებში იქნება გამოცხადებული.

— მისამართი: ст. Дзирулы для Дзирульской библ. читальни.

**მახწ. ალ. ხარატიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიხეილის სათავად-აზნაურო

# საადგილ-მამულო ბანკი

## ქუთაისში

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ბანკის დადგენილების მე-17 მუხლის ძალით 1915 წლის დეკემბრის თვის ქვემოთ აღნიშნულ რიცხვებში, დილის 12 საათზე, მოხდება

# საჯარო ვაჭრობა

## გაუმეორებლად ბანკში დაგირავებულ მამულებისა, რომლის პატრონებსაც ბანკის ხვედრი ნედოიმკები არ შემოუტანიათ.

მე-18 §-ის ძალით, მესესხებლებმა უნდა შემოიტანონ ბანკის კუთვნილი ნედოიმკები, პროცენტები ვადის გადაცილების გამო და სხვა ხარჯები, რომელიც გამოიწვია ქონების გასასყიდათ დანიშვნამ, პირველი ვაჭრობის დაწყებამდე, ხოლო, თუ პირველი ვაჭრობა არ მოხდა, ყოველივე ეს მესესხებლებმა უნდა წარმოადგინონ მეორე საჯარო ვაჭრობის დაწყებამდი და ამნაირათ გაათავისუფლოს თავისი ქონება გაყიდვისაგან.

გადასახდელი ფული შეიძლება შეტანილ იქნას: ვაჭრობის დღემდე—**ქუთაისში**, ბანკის კასაში; **თფილისში**—ბანკის სააგენტოში. თფილისის სავაჭრო ბანკში, აზოვო-დონის და ვოლგო-კამის ბანკის განყოფილებაშიდ „ა. ფრიდონოვისა და ამხ." საბანკიერო კანტორაში; **ბათომში**—თფილისის სავაჭრო ბანკისა და შეერთებული ბანკების განყოფილებაში; **ფოთში, სოხუმსა და ზუგდიდში**—ადგილობრივ საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში, ხოლო ვაჭრობის დღეს ვაჭრობის დაწყებამდი **მხოლოდ** იქ, სადაც საჯარო ვაჭრობა მოხდება—ბანკის გამგეობაში ქუთაისში და ბანკის სააგენტოში თფილისში.

ამასთანავე ერთად ბანკის გამგეობა იწვევს ბ-ნ მესესხებელთ, რომ იმ შემთხვევაში თუ ნედოიმკა ვაჭრობის რამდენიმე დღის წინეთ შეუტანიათ ბანკის კორესპონდენტებთან, სწრაფათ დეპეშით აცნობონ გამგეობას ფულის შეტანის შესახებ იმ დაწესებულებათა საშუალებით, სადაც ფული შეუტანიათ. ბანკის გამგეობა სანამ არ მიიღებს დეპეშით ცნობას კორესპონდენტთა ფულის შეტანის შესახებ, ფული წარდგენილათ არ ჩაითვლება და ამიტომ უძრავ ქონებას ვაჭრობიდან არ მოხსნის.

ბანკის იმავე წესდების მე-19 §-ის თანახმათ, როგორც პირველი, ისე მეორე და უკანასკნელი საჯარო ვაჭრობა მოხდება იმ უძრავ ქონების გასასყიდათ, რომელიც თფილისსა და თფილისის გუბერნიაშია—ბანკის სააგენტოში. ქ. თფილისში, ფრეილინის ქუჩაზე, სახლი № 1, ხოლო დანარჩენ ქონებათა გასასყიდათ—ბანკის სადგომში, ქალაქ ქუთაისში, რიყინაშვილის სახლში, ხობროის მოედანზე.

ბანკის მე-20 §-ის ძალით ვაჭრობა დაიწყება იმ ჯამიდან, რომელიც ირიცხება ქონებაზე სხვა და სხვა ხარჯებით, როგორც გაყიდვის გამო, ისე სხვა გაწერილი ხარჯებისა, ე. ი. ქვემოთ აღნიშნულ ძირითად ვალისა და ნედოიმკების. აგრეთვე სახელმწიფო საერობო და საქალაქო, და ყოველნაირი გაწეული ხარჯების დამატებით. ძირითადი ვალი შეიძლება გადატანილ იქნეს მყიდველზე ან გადახდილ იქნეს, ხოლო ყოველნაირი ნედოიმკა შეტანილ უნდა იქნეს ნაღდ ფულზე.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველმა ვაჭრობის დაწყებამდი უნდა წარმოადგინოს ნაღდ ფულათ ბე, რომელიც უნდა უდრიდეს ნედოიმკებისა და სხვა გადასახადების ჯამს, რაც ქონებაზე ირიცხება. უნდა იქნეს წარმოდგენილი ან ნაღდი ფულით, ან სახელმწიფოსა და მთავრობისაგან უზრუნველყოფილ ქაღალდებით, აგრეთვე იმ ბანკისა საგირავნო ფურცლებით, რომელიც ყიდის მამულს, პროცენტიანი ქაღალდები და საგირავნო ფურცლები მიიღებიან იმ ფასებით, რომელიც გადაწყვეტილია ფინანსთა მინისტრისაგან მამულის უსასყიდლოდ გადასვლის დროს გადასახდელ ბაჟად.

ბანკის წესდების მე-21 §-ის ძალით ვაჭრობა შესრულებულათ უნდა ჩაითვალოს, თუ მყიდველის მიერ შემლეული ფასი დაფარავს იმავე წესდების მე-20 §-ში აღნიშნულ ვალს, ნედოიმკებსა და ხარჯებს. საჯარო ვაჭრობაზე შემლეული ჯამი წარდგენილ ბეს და ძირითადი ვალის და აგრეთვე შეძენილი მამულის დამტკიცების ხარჯების გამოკლებით, მყიდველმა უნდა შემოიტანოს არა უგვიანეს 14 დღისა, საჯარო ვაჭრობიდან. იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი თოთხმეტი დღის განმავლობაში არ შეასრულებს ამ პირობას, ის დაკარგავს წარდგენილ ბეს, ხოლო, მამული ძველი პატრონის სახელზე დარჩება.

როგორც პირველი, ისე განმეორებით ვაჭრობა იქნება მხოლოდ სიტყვიერი; დაბეჭდილი კონვერტებით წარდგენილი ფასები არ მიიღება. არავითარი უპირატესობა საჯარო ვაჭრობაზე არ ეძლევათ იმ პირთ, რომელთაც ბანკის შემდეგ დამატებით გირავნობა აქვთ. ამათ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ვაჭრობაში სხვებთან თანასწორ პირობებში.

ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლია ბანკის გამგეობაში ინახულოს გასაყიდი მამულის საქმის წარმოება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდი.

## პირველი საჯარო ვაჭრობა დანიშნულია:

ა) 3 **დეკემბერს** თფილისისა, თფილისის გუბერნიის და ქ. ყარსის მამულების
ბ) 7 **დეკემბერს** ქუთაისის მამულების.
გ) 9 **დეკემბერს** ქუთაისის გუბერნიის დაბებისა და სხვა ქალაქების მამულებისა, ბათომისა და სოხუმის ოლქებში მდებარე.
დ) 11 **დეკემბერს** ქუთაისის გუბერნიის ბათომისა და სოხუმის ოლქების სოფლების მამულებისა და იმ მამულებისაც, რომელზეც მოკლე ვადიანი სესხია გაცემული.

## მეორე და უკანასკნელი საჯარო ვაჭრობა დანიშნულია:

ა) 18 **დეკემბერს** თფილისისა და თფილისის გუბერნიის მამულებისა.
ბ) 22 **დეკემბერს** იმ მამულების, რომელიც ქალაქ ქუთაისში მდებარეობს.
გ) 28 **დეკემბერს** ქუთაისის გუბერნიის დაბებისა და სხვა ქალაქებში სოხუმისა და ბათომის ოლქებში მდებარე მამულებისა.
დ) 30 **დეკემბერს** ქუთაისის გუბერნიის, ბათომისა და სოხუმის ოლქების სოფლებში მდებარე მამულებისა და იმ მამულებისა, რომელზეც გაცემულია მოკლე ვადიანი სესხი.